

# საქართველო

# რეპუბლიკა



წასი 10 მან. საგზაო, ნ. ივრის 16 1920 წ.

მთავრობის მოწვევა, უფროდელიური გაზეთი (ოფიციალური და არაოფიციალური განყოფილებით)

## საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. გასცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტრის სტრიტ. 16 მან. 4-ზე გ. 10 მან. საგზაოვიანო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15-2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლო უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედუქციის და კანტ მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1-52.

### სახელმწიფო თეატრი

სამშობათ. 16 ნოემბერს

## „რიგოლ მტო“

ოთხშაბათს, 17 ნოემბერს

## „ევგენი ონეგინი“

პარასკევს, 19 ნოემბერს პირველად ქართულ ენაზე

## „ლალატი“

შაბათს, 20 ნოემბერს ოპერა მუშებისადმი

## „რუსალკა“

972 1-1

დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

### სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8-07)

დღეს, სამშობათს, ნოემბრის 16-ს

## მსხვერპლი

ახალი დეკორაციები მხატვრის ელ. სიღამონ-ერისთავისა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ალ. წუწუნავა.

შაბათს, ნოემბრის 20-ს

## უბვირგვინო მუშენი

აღმ. შანთაშვილისა.

971 1-1

რეჟისორი ალ. წაღვა.

### აშვირ-კავკასიის ბანკის გაგზავნა

აშვირ ახსნაძეს.

რომ რადგანაც დანიშნული 7 აშ თვეს არა ჩვეულებრივი აქციონერთა საზოგადო კრება არ შესდგა, შემდეგი კრება თანახმად 67 ბანკის წესდებისა ინიშნება 21 აშ ნოემბერს აშავე ბანკის შენობაში (ლორის-მელიქოვის ქ. № 5) დღის 11 საათზე და კანონიერად ჩაივლევა წარმოდგენილ აქციათა ოაღენ-ბის მიუხედავად. 3706 1-1

### ოფიციალური ნახევრობა

## განკარგულე განი

იუსტიციის მინისტრისა.

10 ნოემბერი, 1920 წ., № 408.

რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის ნოემბრის 2-ს დადგენილების ძალით განთავისუფლებულია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი ბეგლარ ნესტორის ძე ფალავა ამა წლის ნოემბრის 2-დან.

№ 409.

რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის ნოემბრის 2-ს დადგენილების ძალით სამხედრო სასამართლო პროკურორი დავით ესტატეს ძე შირიანაშვილი განთავისუფლებულია თანახმად თავისი თხოვნისა ტფლისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგის თანამდებობიდან ამა წლის ნოემბრის 2-დან.

იუსტიციის მინისტრი რ. არხენიძე.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

4 ნოემბერი, 1920 წ., № 324.

დაინიშნა: სენაკის ხაზინის II ხარისხის ბუბხალტრად, ამავე ხაზინის მონაგარიშე კაპიტონ გოგიავა ამა წლის ნოემბრის 1-დან.

10 ნოემბერი, 1920 წ., № 326.

დაინიშნა: სრულიად სამსახურიდან ტფლისის აქციონის ინსპექტორის უფროსი თანაშემწე იოსებ ვასილის ძე ლორთქიფანიძე ამა 1920 წ. 1-ლ ნოემბერიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი ს. ავალიანი.

### მიწად-მოქმედების მინისტრისა.

4 ნოემბერი, 1920 წ., № 391.

დაინიშნა: ჩაქვის სახელმწიფო მამულში უფროს სპეციალისტად მოურავის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად კარლ ლეღვიძის ძე ბრენერი ამა წლის 28 ოქტომბერიდან.

5 გიორგობისთვე, 1920 წ., № 392.

დაინიშნა: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან აღმსახურის ტყის გამგის თანაშემწე როსტომ დიმიტრის ძე საგინაშვილი ამა წლის 2 გიორგობისთვიდან.

№ 393.

ინიშნება: ინჟინერი დიმიტრი ივანეს ძე რაზდოვსკი ფოთის ქობების დასაშრობ პარტიაში ამა წლის 1 ნოემბრიდან.

№ 394.

დაინიშნა: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან სამინისტროს ექსპერტორი გრიგოლ რაფაელის ძე კორინთელი თანახმად თხოვნისა 1 ნოემბერიდან.

6 გიორგობისთვე, 1920 წ., № 395.

ინიშნება: თიანეთის ტყის გამგე ბიქტორ იოსების ძე წერეთელი, იმავე თანამდებობაზე კიაფურის სატყეოში ამა წლის 1 გიორგობისთვიდან.

№ 396.

დაინიშნა: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან ცხინვალის სატყეოს გამგე ტყის გამგის 1 ხარ. თანაშემწე მიხეილ პლატონის ძე დადიანი თანამდებობის შეუფერებლობის გამო.

8 გიორგობისთვე, 1920 წ., № 397.

ინიშნება: ნესტორ მათეს ძე ფანჯავიძე ტყის გამგის მე-2 ხარ. თანაშემწის თანამდებობაზე ამა წლის 1 გიორგობისთვიდან.

9 ნოემბერი, 1920 წ., № 398.

დაინიშნა: ყარაიზის სახელმწიფო მამულის მოურავათ ბარნაბ მიხეილის ძე ლოლობერიძე ამა წლის 1 ნოემბერიდან.

№ 399.

დაინიშნა: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თელავის ტყის გამგის 2 ხარ. თანაშემწე დავით მიხეილის ძე მიხეილ ამა წლის 1 გიორგობისთვიდან.

ინიშნება: ივანე მიხეილის ძე რჩეულიშვილი ტყის გამგის მე-2 ხარ. თანაშემწის თანამდებობაზე ამა წლის 7 გიორგობისთვიდან.

№ 400.

ინიშნება: სამინისტროს საგანგებო მინდობილებათა სპეციალისტი სვიმონ თომას ძე ხუნდაძე საგვარკო საკრებულოს წევრად და დროებით საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებლად 1 ნოემბერიდან.

მიწათ-მოქმედების მინისტრი

ნ. ხოშიაძე.

### გზათა უფროსისა

11 ნოემბერი, 1920 წ., № 116.

სადგურ ზესტაფონის მისივე ეპიფანე აბესაძეს მადლობის გამოცხადების შესახებ.

1919—1920 წ. მისივე ეპიფანე აბესაძემ მ. № 6 სადგურ ზესტაფონიდან გასვლის შემდეგ, შორაპნისაკენ გასასვლელ ისრებთან აღმოაჩინა გატეხილი რონი. რომელშიც ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობა სადგურის მორიგეს სათანადო ზომების მისაღებათ, რითაც რკინის გზას თავიდან ააცილია მატარებლის მოსალოდნელი დამსხვრევა და ამით გამოწვეული ზარალი.

აბესაძის ასეთი სამსახურისადმი სიფხობა და ერთგულება უტყუარ საბუთს იძლევა იმისას, რომ ის ასრულებს მისზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად და კეთილსინდისიერად, ზედმიწევნით მონდობებით.

აბესაძის ასეთი სამსახურისადმი მუყაით მოპყრობას დიდის სიამოვნებით აღვნიშნავ და სამსახურის სახელით გუცხადებ მას მადლობას.

გზათა უფროსი ინჟინერი კანდელიაძე.

### სააქციო საზოგადოების უფროსისა.

28 ოქტომბერი, 1920 წ., № 73.

დაინიშნა: სამსახურიდან თანამდებობიდან აქციონის დამხმარე ქ. ბათუმის საბავსთან ნიკოლოზ სერგის ძე დათუნაშვილი 1920 წლის 1-ლ ოქტომბერიდან, თანახმად მთავრობის დადგენილებისა 1920 წ. 1 სექტემბრის 18-დან. ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა უფროსებს ეკრძალებათ მისი მიღება სამსახურში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

30 ღვინობისთვე, 1920 წ., № 74.

დაინიშნა: ბათუმის ოლქის აქციონის ინსპექტორის კანცელარიის შიკრიკად სტეფანე ივანეს ძე სოფრონსკი 1920 წ. ივლისის 8-დან.

5 ნოემბერი, 1920 წ., № 75.

დაინიშნა: თანახმად თხოვნისა, სამსახურიდან ტფლისის თამბაქოს ქარხნის კონტროლიორი სერგი ფილიპეს ძე ანტონოვი 1920 წ. ნოემბრის 1-დან.

სააქციო საზოგადოების უფროსი სმ. ხაქრაძე.

### აჩა ოცდობლივი ნახევრობა

## დაფუძნებული პრემის გონიერად ქართულ ხალხისადმი

საქართველოს ხალხო! ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილების სისხლით მორწყულ საზღვრებს კვლავ ემუქრება თავიერი მტერი.

უსაშინელესი ტანჯვით დაუძღვრებელი სომხეთი დიდის ტანჯვით უწყვეტ წინააღმდეგობას ქვედა ფაშის ბრძოლებს; დაეცა ყარსი, სომხეთის საუკეთესო სიმამრე, ოსმალებმა დაიპყრეს გუმბრი (ალექსანდროპოლი).

სომხეთის უბედურება საფრთხეს უმზადებს საქართველოს თავისუფალ არსებობას.

ჩვენი ისტორიული მტერი, რომელთაც ქვედა ფაშა მეთაურობს, არ სცნობს ჩვენ მიერ საბჭოთა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას—ვერ ურიგდება სამაჰმადიანო საქართველოს ჩვენ საზღვრებში არსებობას; ისინი მოხერხებულ დროს არჩევენ ჩვენზე თავდასხმისათვის.

მოსალოდნელია, რომ სომხეთზე გამარჯვებით ვათამამებული ქვედა ფაშა მთელი თავისი ძალდონით ჩვენს შესამუსრავად გამოეშუროს.

ოსმალოთა შიშველ-ტიტველი, დამხმარი ბრძოლები ოცნებობენ ჩვენი მშვიდობიანი ქალაქების გაძარცვას, ჩვენი მშრომელი სოფლებიდან სარჩო-საბადებლის ვაჭრად.

ოსმალებს მხნეებს 1918 წლის გამარჯვების ტყეპილი მოგონება—საქართველოში იმათ ბათუმის დაცემის დროინდელი მოშლილ იჯარი და მოუწყობელი სახელმწიფო ეგულეობათ.

მაგრამ თქვენ, საქართველოს შვილო იცით, რომ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობის განმავლობაში არა ერთი მძიმე საფრთხე უნახავს ჩვენს ხალხს, არა ერთი სასტიკი ომი გადაუდგია.

და ყოველი დაბრკობება გმირულად გადალახავს მას. პირნათლად გამოსული უმძიმესი ვაჭირვებიდანაც კი, თქვენ იცით, რომ მრავალ ბრძოლაში გაჯაქდა ჩვენი ქვეყნის დამცველი ჯარი და გვარდია; მრავალ განსაცდელში გამოიყვანა ჩვენი სახელმწიფოებრივი ყუობილების სიმტკიცე...

იმ დროს, როცა სულ უფრო და უფრო დაბლა ეცემოდა დამარცხებული ძველი ოსმალეთი, განახლებული საქართველოს ძალა და სიმტკიცე იზრდებოდა დღით დღე.

და თუ მტერი ვერ ამჩნევს ჩვენ სიმტკიცეს, ის დაინახავს ამას, როცა პირისპირ შეტაკება ჩვენ სახელოვან მეომრებს. მაშინ მოიგონებს ის ჩოლოქის ბრწყინვალე ბრძოლას, მოიგონებს ქართველი ხალხის ისტორიულ სიმამაცეს და გაუტყველ ვაჟაკობას.

ქართველო ხალხო! შენი თავისუფალი დემოკრატიული სამშობლო ისევ განსაცდელშია და შენგან არჩეული დამფუძნებელი კრება კვლავ თავდაცვისათვის მოეწყობება.

სამშობლო მრავალგვარ მსხვერპლს მოითხოვს. შემოკრიბი შენი დამფუძნებელი კრების და მთავრობის არგვივ. დაცავით შეგნით წესიერება.

სიყვარულით და მზრუნველობით მოეპყარით ჩვენ ფრონტს. იქონიეთ შეუდრეკელი რწმენა მტერზე გამარჯვებისა და მაშინ სახელოვანი იქნება ჩვენი ბრძოლა.

ბრწყინვალე იქნება ჩვენი გამარჯვება.

### მთავრობის თავჯდომარისაგან

რესპუბლიკის ყველა დაწესებულებების უფროსებს, ქალაქთა და ერობათა თვითმართველობებს და აფხაზეთის კომისარიებს. № 5637.

ის სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოსამსახურე პირნი, რომელნიც უქანასკნელი მობილიზაციის ძალით, ვალდებულნი არიან ჯარში წავიდნენ, დაუყოვნებლივ და ყოველ მიზეზის გარეშე უნდა გამოეცხადონ თავიანთ სამხედრო აღრიცხვის უფროსებთან და მით სამშობლოს წინაშე ვალი მოიხადონ.

ამ ბრძანების შეუსრულებლობისათვის პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი და სასტიკად დასჯილნი, როგორც ჯარში გაწვეულნი ისევე მათი პირდაპირი უფროსები.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიანი.

### გენერალური შტაბისაგან.

(12 ნოემბერი 1920 წ. № 4433).

შესაცვლიათ და დამატებით ამა წლის 11 ნოემბერიდან № 4393 (ობ.) ტელეფონო-გრაფიის მფარვე და მესამე მუხლებსა), მოავრობის თავმჯდომარემ ბრძანა:

1) სამხედრო ერთეულებს—დაწესებულებებს ში და აგრეთვე სახალხო გვარდიაში მყოფნი სამობილიზაციო წლებში დაბადებულნი ნებებით დაქირავებულნი მოსამხატვრენი დაუყო-ნებლად გადაირიცხონ ნამდვილ სამსახურში, თანამად მოლაშქრე და სათადარიგო ჯარის-კაცთა გასაწვევ დასტურდების 15 მუხლისა თავიანთ თანამდებობაზე დატოვებით, გვარ-დიის და ჯარის ერთეულებისა და დაწესებუ-ლებათა უფროსებმა ეხლავე წარმოადგინონ სია იმ ნებით დაქირავებულთა, რომელნიც აუცილებლად უნდა დარჩენ თავიანთ თანამ-დებობაზე. ამ სიების გასასინჯავათ შესდგეს კომისია: გენერალური შტაბის ნაწილთან გვარდიისა და ამ ნაწილის თითო წარმომად-გენელითა შემადგენლობით.

2) 20 ნოემბერამდის გამოცხადების ვადა შეიცეს აგრეთვე თემების გამგეობათა თავ-მჯდომარეებს.

### საქართველოს დამოუკიდებ-ლოვის ფორგალურად ცნობა.

საქართველოს ს. გარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი გაემგზავრა ევროპაში იმ მიზნით, რომ მოკავშირეებს საქართველოს დამოუკი-დებლობა ეცნოთ ფორმალურად. გეგეჭკორის ცდა გამარჯვებით დასრულდა: მოკავშირეებ-მა იცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა.

### საგარეო-სასტრატეგიო უმ-თანხმება სტრატეგიკის რუსეთ-თან და აღმარებითა იან.

(საინფორმაციო ბიუროსაგან).

განსავითარებლად და დასამატებლად რუსეთისა და საქართველოს შორის 1920 წლის მაისის 7 დადებული სამშვიდობო ხელშეკრუ-ლებისა და აღმარებითა იანსა და საქართველოს შორის ამავე წლის ივნისის 12 ხელმოწერილ საზავო ხელშეკრულებისა ნოემბრის 14 ტფი-ლისში მოხდა საგარეო-სატრანზიტო შეთანხ-მება ერთის მხრით რუსეთის ს. ფ. სამკოთა რესპუბლიკის და აზერბაიჯანის სოც. სამ-კოთა რესპუბლიკისა და მეორე მხრით საქა-რთველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შო-რის, რომელსაც ხელი მოაწერეს: საქართვე-ლოს საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა კ. ბ. საბან ჯარიშვილმა, რ. ს. ფ. ს. რ. სრულყოფილია წარმომადგენელმა საქა-რთველოში ა. ლ. შინიანმა და აღმარებითა იანის სოც. სამკოთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მიროზა დაუდ ქუსენოვმა.

საერთო შეთანხმება შემდეგში მდგომარეობს:

საქართველო, რუსეთი და აღმარებითა იანი საერთოებრთოდ თავისუფალ ტრანზიტის უფ-ლებას ანიჭებენ ერთმანეთს. რუსეთი და აღმარებითა იანი ვალდებული არიან აძლიონ საქართველოს ნავთის პრო-დუქტები პირველ თვეში დღიდან საქართვე-ლოს რკინის გზის პირველ სამარშრუტო მა-ტარებლის ბაქოში მოსვლისა 750 ათასი ფუ-თი, და შემდგომ, მეორე თვიდან დაწყებული, თითო მილიონი ფუთი ყოველ თვე.

მთელი ეს ნავთის პროდუქტები რუსეთისა და აღმარებითა იანის მიერ განთავსდეს მთლიან ყოველ ბაქისა და გადასახადისაგან და ეძლე-ვა საქართველოს შენდევ ფასებში: ფრანკო-ბაქო ცისტერნა: რკინის გზის საქაროების-თვის გაუწმენდავი ნავთი და მახუთი 25 მანეთით ფუთი, გაწმენდილი ნავთი 50 მანეთით ფუთი, ბენზინი 70-დან 460 მან. სახელმწი-ფო დაწესებულებათა, მცხოვრებთა და მრეწ-ველობის საქაროებისათვის ფასები გადაიდებ-ულია ორჯერ.

თავის მხრივ საქართველო ნებას რთავს უბაქოთ და სხვა სახელმწიფო გადასახადთა გადაუხდელად გატანად იქნას ქარხანა „შრო-მა“-ს ძლიერი ცეცხლ-გამძლე აჯური და ცეცხლ გამძლე თიხა არა უმეტეს ოცი ათასი ცალი აჯურისა და ხუთი ათასი ფუთი თიხისა თვეში საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის მიერ დაწესებულ ფასებში და რუსეთისა და აღმარებითა იანის რკინის გზები-სათვის საქარო ქვა-ნახშირი, სატყეო და სხვა მასალა შერეულ კომისიის მიერ განსაზღვრულ რაოდენობით.

გარდა ამისა საქართველო ნებას რთავს გა-ტანად იქნას სხვა და სხვა საქარელი და სანოვაგე, გარდა ყოველგვარი ხორბლეულ-ობისა და შაქრისა, რომლის საერთო ჯამი არ უნდა აღემატებოდეს საქართველოში შემო-ტანილ ნავთის პროდუქტების მთელ ღირებუ-ლებას.

## ევროპის სოციალისტური საქართვე-ლოში მოგზაურობის შესახებ.

ევროპის ევროპა-გაზეთთა განურჩევლად მიმართულებისა, საესვა ამებში ევროპის სო-ციალისტურ დღეგაცის საქართველოში მო-გზაურობის შესახებ: დღეგაცისა ჯერ კიდევ არ გამოუქვეყ-ნებია თავისი მოხსენება ამ მოგზაურობის შე-სახებ, ვინაიდან მოხსენების დასამთავრებლად ელოდებიან ამ დამატებითი ცნობებს, რომე-ლიც ამხ. დე ბრიუკერმა უნდა ჩამოიტანოს. მიუხედავად ამისა დღეგაცებმა გაზეთების საშუალებით საქართ მოვინეს მკითხველ სა-ზოგადოებას ცნობები თავისი დაკვარებითა და დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინეს.

ინგლისურ გაზეთ „ტიმს“-ში დაიბეჭდა ინტერვიუ ქ-ნ სნოუდენთან. ქალბატონი სნო-უდენი ადარებს მის მიერ ნახულს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოში და აღნიშნავს იმ მშვენიერ შედეგებს, რომელსაც ქართველ-მა სოციალ-დემოკრატებმა მიადრეს.

ლონდონის ყოველკვირულ „ტემ მატინ“-ში მოთავსებული იყო ვრცელი და ჩინებუ-ლი დაწერილი სტატია რამზეი მაქდონალ-დისა: „სოციალისტური სახელმწიფო კავში-რისაში“. ავტორი აღნიშნავს ორმა სიბრძნეს ქართული სოციალ-დემოკრატისა, (განსა-კუთრებით მიწის საკითხში) და ენერგიულად მოითხოვს ინგლისის მთავრობისა და ხალხი-საგან საქარო დახმარებას პატარა რესპუბლი-კისადმი, სადაც ავტორის სიტყვით ბუნებაც, ხალხიც და პოლიტიკაც ერთგვარად მომხი-ლებელია.

ბრიუსელის გაზეთი „ლე სერ“-ში დაბეჭ-დილია ვრცელი საუბარი ამხ. ვანდერველ-დესთან, საქართველოს შესახებ ფაქტურ ცნობების გადმოცემისა და საქართველოსად-მი წრფელი თანაგრძნობის გამოთქმის შემ-დეგ ამხ. ემალ ვანდერველდ აღნიშნავს შე-საძლებლობასა და საქარობას საქართველო-სა და ბელგიის შორის ეკონომიური კავში-რის აღდგენისას. ემალ ვანდერველდ გამო-თქვამს აგრეთვე სრულს იმედს, რომ ახლო მომავალში ბელგია იცნობა სრულს იური-დიულ დამოკიდებულებას საქართველოს რე-სპუბლიკისას.

განსაკუთრებით მრავალი ცნობები დღე-გაცის საქართველოში მოგზაურობის შესახებ იბეჭდება ფრანკულ პრესაში. ამხ. ა. ინგელ-სი „ლე ჟრიდუ ნორუ“-ში ათავსებს მთელს რიგს ვრცელ წერილებისა საქართველოს სო-ციალ-დემოკრატის შესახებ.

ამხ. მარკე „ლე ბრიტ პოპულარი“-ში დაიწყო ბეჭედა მთელი რიგი წერილებისა საქართველოს შესახებ. წერილი, რომლითაც დაიწყო ეს სერია მოთავსებულ იქნა, რო-გორც მოწინავე წერილი. ამ წერილში მო-ყვანილია სხვათა შორის ნოე ჟორდანიას სი-ტყვა, რომლითაც ეს უკანასკნელი მიესალმა დღეგაცის ტფილისის სადგურზე. ამ სიტ-ყვის შესახებ ამხ. მარკე ამბობს: „ნოე ჟორ-დანიას სიტყვებმა დრმა შთაბეჭდილება მო-ახდინა ჩემზე. ვინაიდან ამ შორეულ ქვეყანა-ში, სადაც ჩვენ ვიხედით აღმოსავლეთ ევრო-პისა და ოსმალეთის გავლის შემდეგ, ეს სი-ტყვა, როგორც გულისთქმა მთელი ხალხისა, საესებით ეთანხმება აზრსა და გულისთქმას დასავლეთ ევროპის სოციალისტებისას.

დიდის თანაგრძნობით ათავსებენ ინგელ-სისა და მარკეს შთაბეჭდილებებს საქართვე-ლოს შესახებ გაზეთები: „ეკლარი“, „ჟურ-ნალ“, „ფარე დე ლა სოიუ“- და სხვა. „პემს“-ში მოთავსებულია ვრცელი კორეს-პონდენცია დღეგაცის საქართველოში მო-გზაურობის შესახებ. კორესპონდენციაში გულწრფელი თანაგრძნობა გამოთქმული საქართველოს რესპუბლიკისადმი.

ენერგიულ კომპანიას ეწევა საქართველოს სასარგებლოდ ამხ. რენოდელი. მისი რედაქ-ტორობით გამოცემულ გაზეთ „ლე ვიე სო-ციალისტ“-ში რენოდელი წერს იმ შეხვედ-რის შესახებ, რომლითაც საქართველოს რეს-პუბლიკა დაუხვდა თავის სტუმრებს: „არა სა-მხედრო პარალელობით შეგება დღეგაცის, არამედ საერთო სახალხო აღფრთოვანებით. დღეგაცის შეხვედრაში მონაწილეობას იღე-ბდა მთელი ხალხი: მამაკაცები, ქალები, ბავ-შვები, რომელთა სახეზე ამოიკითხავდით გულწრფელ სიხარულს და კმაყოფილებას“.

საქართველოს მდგომარეობის შესახებ იგი-ვე გაზეთი სწერს: რესპუბლიკის მდგომარეო-ბა მძიმეა, ფულის კურსის დაცემა, ეკონომი-ური მდგომარეობის გაართულება, რაიც გამო-წვეულია ხანგრძლივი ომისაგან, რომელიც საქართველომ ამ სამი თვის წინათ გაათავა და რომელიც ხელახლა შეიძლება განახლდეს უკეთეს საქართველოს კვლავ დაესმის ოსმა-ლეთი, ან რუსეთი, რომელთა საფრთხე მულ-მივ თვალწინ უდგას პატარა რესპუბლიკისა ყველა ეს კარგად აქვს შეგნებული რესპუბ-ლიკის სათავეში მდგომარა და პასუხისმგებელ ამხანაგებს.

ისინი კარგად გრძობენ სიმძიმეს თავისი მოვალეობისას, მაგრამ ამყობენ მათ, რომ მოვალეობათა აღსრულების დროს ისინი ეყრ-დნობიან მთელი ხალხის ნებას და თანაგრ-ძნობას, რომ ის დახმარება, რომელსაც საქართველოს მოუშები და გლეხები უწევენ თავის ხელმძღვანელობას თავმდებია მათი სრუ-ლი გამარჯვებისა“.

ბოლშევიკებმა „დაილუ ნერალე“, „იუმ-ნიტე“, „ჟორნალ დე ტელე“-ში სკადეს დღეგაცის მოგზაურობის სახელის ვატება. მათ გაავრცელეს ხმა, თითქო ბათუმში ხალხს ესტუმრეს ევროპული სტუმრებისათვის. ამ ქორს ხელი დასტაცა ბურკევის გაზეთმა „ობ-შრე დელო“-მ. რენოდელმა თავის გაზეთ-ლა ვიე სოციალისტ“-ში ამ ქორისა და ქორიკანების შესახებ ცხარე წერილი მოათავსა ამ სათაურით: „დემენტეს ოუ ვოუს მენტეს“ „თუ ვერ უარყოფთ... ცხადია სტყუით“.

საქარო აღნიშნოთ, რომ საქართველოს სტუმრები ამ ბეჭდვით პროპაგანდასთან ერთად ეწვევიან ენერგიულ ბრძოლას საქართვე-ლოს სასარგებლოდ აგრეთვე ლექციებითა და სიტყვებითაც.

რამზეი მაქდონალი ყველა თავის საჯარო სიტყვებში ინგლისელ მუშათა წინაშე ლაპო-რაკობს საქართველოს შესახებ როგორც ისეთ ქვეყანაზე, სადაც გონივრულად და სასარგებ-ლოდ გატარებულია ცხოვრებაში ქეშმარიტი მეთოდი სოციალიზმისა.

საფრანგეთში საკითხი საქართველოს დახ-მარების შესახებ დასმულია როგორც პრო-ლეტარიატის, სინდელიკისტების, აგრეთვე სოციალისტური წრეების წინაშე. ამ მხრივ ენერგიულ მუშაობას ეწევიან საქართველოს ბელგიელი მეგობრებიც, კერძოდ ამხ. ჰიუს-მანსი.

### მდგომარეობა სომხეთში

სომხეთის მთავრობის მოწოდება.

სომხეთის მთავრობამ მიმართა ხალხს გან-საკუთრებული მოწოდებით, რომელშიაც აც-ნობს ხალხს იმ პირობებს, რომელიც ოსმა-ლეთმა წარმოუდგინა სომხეთს.

სომხეთის მთავრობა იუწყება: ამ გვარი სა-შინელი პირობის წამოყენება იმის დამატ-კიცხებით, რომ მტერს არა თუ მიზნით არა აქვს ჩვენთან შეჩვიება, არამედ სცდლობს, საბოლოოდ განადგუროს სომხეთი და გაე-ლიტოს მისი მოსახლეობა.

ამ გვარ პირობებში მთავრობას არ შეუძ-ლია რაიმე ნდობით მოეპყრას ოსმალეთის წინადადებებს და ამიტომ მთავრობა მიმარ-თავს სომხის ერის სიუზიზლესა და გონიერე-ბას: „შენ არ გინდოდა დაგეცვა სახელმწი-ფოს საზღვრები სარეპაშითან, ყარ-სთან და გუმზრთან. დღეს მტერი ემუქ-რება არა მარტო თავისუფლებას არამედ შენ სიცოცხლესაც. შენ უნდა გამოფხიზლდე სანამ დაგვიანებული არ არის. მტერი მოდის მკირე ძალებით. მისი გამარჯვება შეიძლება შენი სისუსტისა. შენ იბრძობლე და ის ვერა თუ ვერ მოგსარობს შენ, არამედ დამარცხე-ბული უარყოფს თავის ჯოჯოხეთურ მახეებს. მოქალაქენო სომხეთის მთავრობამ გადასწყ-ვიტა უკან არ დაიხიოს და სასტიკად შეებრ-ძოლოს მტერს. ის არ ღებულს მტრის მიერ წამოყენებულ ზავის პირობებს. მეტი გამოსავალი არ არის. სომხეთის ჯარო უნდა მოხდეს გადაშენებული შეტეება მტრის ჯარ-თან“.

### საქართველოში მყოფი სომხეთის დი-პლომატიური მისიის ცნობა.

სამხედრო ცნობები. ნოემბრის, 9. გუმბ-რის მიმართულებით. ჯაჯურის რაიონში ნო-ემბრის 12, შევაშინეთ, რომ მტერი ახალქალაქის გზატკეცილისკენ მოიწვედა, ნოემბრის 12-ზე, ჩვენმა ნაწილებმა შევიწ-როვეს მტერი სოფელ ტაპალის ჩრ. აღმ. სი-მალეზე. ჩვენ წამოვიყვანეთ 8 ჯარისკაცი და 1 ოფიცერი.

სურმალინის მიმართულებით სიწყნარეა. რკინის გზის ხაზზე ჩვენ დავსტოვეთ სადგ-ავინი. ბრძანების თანახმად მტრის მხრივ ძალდაუტანებლად დავსტოვეთ ჩვენ ქალ. იგ-დირი. ჩვენმა ჯარმა მდ. არაქ ხაზისკენ და-ინხია.

გოლჩია ვოროტა-სთან ჩვენ მოვიგერიეთ მტრის შემოტევა, რომელიც ნოემბრის 12 დაიწყო.

### საზვეო მოლაპარაკება ოსმალეთსა და სომხეთს შორის.

ყარსის დაცემის შემდეგ სომხეთის მთავო-ბამ წინადადება მისცა ოსმალეთს საომარ მოქმედების შეწყვეტის შესახებ. მეომარ მხა-რეთა შორის დროებითი ზავი ჩამოვარდა.

### ჩინჩინი სომხეთის შესახებ.

საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიურო აქვეყ-ნებს რადიოს, რომელიც ჩინჩინს გაუგზავნია ლონდონში კრასინისთვის.

„მოსკოვი, 11 ნოემბერი (რადიო), ფრიალ საჩქარო. ლონდონში, კრასინსა. საბჭოთა რუ-სეთმა აღუთქვა შეამავლობა ოსმალეთსა და სომხეთს. ოსმალეთის ნაციონალისტების გამარჯვებამ ამ დღეებში კრიტიკულ მდგომარეობაში ჩაავდო სომხეთი და რუსეთის შუა-მავლობა სწორედ, რომ დროს შესაფერია. საბჭოთა რუსეთს არას დროს არა ჰქონებია სურვილი ნახიჩევანის, ჯულფის, ზანგეზურისა და ყარაბაღის ანექსია მოეხდინა. რუსე-თის ჯარმა დაიკავა ეს სადავო ალაგება მანა-მდენ, სანამ საკითხი მოგვარებული იქნებოდა სომხეთისა და აღმარებითა იანის მიერ. თითოეული ამ სახელმწიფოთაგანი თავის უფლებებს აცხადებს ამ ოლქებზე. ნახიჩევანში მცხოვრებლებმა მუ-სულმანებმა, ზანგეზურში—შერეულნი; ეს კი მეტად ართულებს საკითხის გადაჭრის სა-კითხს“.

### იუსტიციის სამინისტროში

ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკუ-რორმა იმავე სასამართლოს თავმჯდომარეს წინადადებით მიმართა გააერთიანოს რკინის გზის პირველი და მეორე სასამართლო უბნე-ბი ერთ უბნად.

ტფილისის საოლქო სასამართლოს თავმჯ-დომარე ოუსტიციის მინისტრისადმი წარდგე-ნილ მოხსენებაში აღნიშნავს, რომ რესპუბ-ლიკის ცხოვრება ნორმალურ კალაპატში ჩადგაო. ბოროტ-მოქმედებამ და კანონის დარღვევის შემთხვევებმა საგრძობლად იკ-ლეს ამიტომ შესაძლებელი არის საგომომბე-ლო უბნების შემცირება. ტფილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის ფიქრით შესაქ-ლებელი არის შემდეგი სავამომომბელო უბ-ნების მოსპობა: ყარაბაღის, ტფილისის პირ-ველი და მეცხრე საგანგებო უბნების და ახალციხის მეორე უბნის.

### ფინანსთა სამინისტროში

ტფილისის სამრეწველო რაიონის ფაბრი-კანტებისა და მექარხნების საზოგადოებისა-გან ფინანსთა, ვაჭრობა და მრეწველობის მინისტრის სახელზე შეამდგომლობა შემოვი-და შრომის ხელფასის და მუშებისათვის პირ-ველ საქაროების საგნების მიწოდების შესა-ხებ. ფაბრიკანტთა და მექარხნეთა საზოგა-დოება თავის შუამდგომლობაში საქაროთ სთვლის შემდეგ ზომების განხორციელებას: 1) მუშათა მავიდასთან შემოდებული უნდა იქნეს სასტიკი ანგარიში, რომელიც დაყრდ-ნობილი იქნება თანამედროვე პუბლიკური საფუძვლზე. ამასთანავე დაწესებული უნდა იქნეს როგორც მაქსიმუმი, 3 თვის საანგა-რაშო პერიოდი, რომლის მიხედვითაც უნდა შესდგეს ხარჯთ-აღრიცხვა. აღნიშნულ პერიო-დის განმავლობაში უნდა შეიყენოს ანგარიში და მწარმოებლებმა საბოლოოდ უნდა ჩააბა-რონ ანგარიში განსაზღვრულ პერიოდისა. ხარჯთ-აღრიცხვა და ანგარიში საყოველთაოდ უნდა გამოცხადდეს, 2) მომარაგების ფონდის ყოველგვარი ზარალი უნდა გაიწეროს სა-ხელმწიფოს ხარჯში და სხ. ფაბრიკანტთა და მექარხნეთა საზოგადოება სთხოვს სამინისტ-როს დაიცვას მრეწველობის ინტერესები და

გაუწიოს მას დახმარება მომარაგების ფონ-

### უცხოეთი

(საინფორმაციო განკ. ცნობები).

#### ზინოვიევის და ლოხოვსკის გამოს-

გუმრება. „ტანი“ იუწყება: თანახმად გერმანიის მთავრობის განკარგულებისა გერმანიის საზღვრებიდან განდევნილებმა ზინოვიევმა და ლოხოვსკიმ დატოვეს ბერლინი და შტეტინი საკენ გაემართენ. საბჭოთა მოღვაწეებს სასტიკად დასჯის დასჯის მიუხედავად. ზინოვიევმა და ლოხოვსკიმ მიიღეს ნიბართვა შტეტინში რიკი დღის დარჩენისა, შემდეგ ისინი უნდა წაიყვანონ რეველში.

#### ზარალი გაფიცვას გამო.

გაზეთი „ვიკულა-დისპეჩი“ აქვეყნებს ცნობებს, თუ რა დაუჯდა ინგლისის მემბლაროელთა გაფიცვა. ინგლისის ხალხმა დაჰკარგა: 1.500.000 ტონი ქვანახშირი. მემბლაროელებმა დაჰკარგეს 5.400.000 გირვანქა სტერლინგი. 220.000 მუშა კი უმუშევრად დარჩა.

#### საფრანგეთის რესპუბლიკის 50 წლის დღესასწაული.

საზეიმო რაუტზე, რომელიც საფრანგეთის რესპუბლიკის 50 წლის თავის აღსანიშნავად გაიმართა, ამიერ კავკასიაში მყოფ საფრანგეთის უმაღლესი კომისარის მოადგილემ ნეტე-მანმა დიდი სიტყვა წარმოთქვა. ორატორმა აღნიშნა, რომ დემოკრატიული პრინციპები, რომლებმაც პირველად ნახეს გამოხატებულება ცნობილ ადამიანის უფლების დეკლარაციაში, არის ბაზა საზოგადოებრივი უფლებებისა ყველა განათლებულ ერისათვის. სწორედ ამ პრინციპებმა დაამყარეს ხალხთა მთლიანობა რამაც ასე ნათლად და გარკვევით იჩინა თავი, სწორედ მაშინ, როცა საფრანგეთის თავის ქვეყნის დასაცავად იძულებული იყო მთელი ხალხის ძალისათვის მოეყარა თავი. შემდეგ საფრანგეთის წარმომადგენელმა სიტყვა, რომ იგი დიდის კმაყოფილებით აღნიშნავს სულიერ კავშირს საქართველოსა და საფრანგეთს შორის. დასასრულ ორატორმა უსურვა საქართველოს აღფრთოვანდეს ისტორიულ მატალით მთავრანგეთის ცხოვრებიდან და მასავით მტკიცე გზა აიღოს, რომელიც საქართველოს პოლიტიკური სიმტკიცისა და ეკონომიკური კეთილდღეობისაკენ წაიყვანს.

#### ბრიტანეთის გავლენა.

„ტაიმსი“ სწერს: ლორდ კერზონმა „შუა-აზიის საზოგადოებაში“ წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ საჭიროა ფაქტს ანგარიში გაუწიოთ, ფაქტი კი ასეთია: დიდი ბრიტანეთის გავლენის გაზრდაში შუააზიაში თავის საზღვრებს მიაღწია. „ტაიმსი“ ამბობს: რომ ინგლისის საზოგადოება ამ ფაქტს უწევს ანგარიშს, მაგრამ მას აქვს უფლება იკითხოს: არის თუ არა ეს შედეგი მთავრობის მოქმედებისა და აძლევს თუ არა თავის თავს ანგარიშს ლორდ კერზონის თავის სიტყვების მნიშვნელობაში? ლორდ კერზონმა განაცხადა, რომ მთელ წინა და შუა აზიაში ლივის ბრიტანეთის წინააღმდეგ მიმართული აგიტაციით.

ინგლისს უნდა გაფანტოს თავისი გარნიზონი აზიაში. მიზან შეწონილია ეს ინგლისისათვის? კითხულობს გაზეთი. აშკარა უნდა დაეასრულოთ ინგლისის გავლენა აზიაში, ვინაიდან ინგლისის დროშას აზიაში მოაქვს არა მშვიდობიანობა არამედ მახვილი. საჭიროა ინგლისის არმიის ინდოეთის საზღვრებთან შეკვეთვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლისის პრეტენციის საქართველოში საფრთხე მოელის. პოლიტიკაში არ უნდა იყოს დაუსრულებლობა: ან უნდა მოვხდინოთ ინდოეთის სრული ოკუპაცია, ან სრულიად უნდა მივატოვოთ იგი. ასეთი აზრით უნდა ვიხელმძღვანელოთ აგრეთვე მესოპოტამიაში. გარკვევით უნდა ითქვას, რომ ინგლისი უარს აცხადებს აზიაში თავის გავლენის შემდეგ გაფართოებაზე.

#### მ. გორკის პროტესტი.

ინგლისის პრესა იუწყება: მაქიმ გორკიმ რუს მეცნიერთა და მათ შორის გრიმის, ოსიპოვის, ბუშის და სხვათა დატყულების გამო აღნიშნავს, რომ რევოლიუცია ვალდებულია სცეს პიტივი მეცნიერებს, განსაკუთრებით იმ

# კანტორისაგან

გაზეთი

## „საქართველოს რესპუბლიკის“

კანტორა

### უპანასკნელად ახსადებს ნისია ხელის მოგწერ დაწესებულათა საუკადლოთ, რომ 20 ნოემბრიდან გამოგაფითი მოასოგაოთ თუ აღნიშნულ დრომდე უშლი არ უაგოიხანეს.

ქვეყანაში, სადაც ახალგაზრდობა 17 წლიდან მთელ თავის ძალს ლონეს საბოჭალაკო-ომს სწირავს.

#### საბჭოთა რუსეთში (ბაზეთიდან)

**არეულობა მოსკოვში.** პარიზის პრესა იტყობინება რომ მოსკოვში არეულობა ფართოდება და სერიოზიულ ხასიათს იღებს. ქუჩებზე ტყვიის მფრქვევლებში სდგას, პეტროგრადიდან რამდენიმე დღეშია არის გამოწერილი.

#### არეულობა პეტროგრადში.

ლონდონში მიღებულ ცნობებით პეტროგრადშიც არეულობა დაწყებულია არეულობა გამოუწვევიათ კრონშტატის მეზღვაურებს (მატროსებს) არეულობის დროს, როდესაც შეტაკება მომხდარა მოსკოვში 300 მეტი მატროსი. 200 დაუტყვევებით, 100 მოუტლავთ და დაუჭრიათ ამათში 54 დაუზერეთათ.

#### საბჭოთა რუსეთის პრესტიჟი.

პარიზის ერთ-ერთ გაზეთის გადმოცემით მოსკოვში ლენინის თავმჯდომარეობით შემდგარა უმაღლესი, თავდაცვითი საზღვარი და საბოჭალაკო საბჭოს ხსენება. ამ ხსენებაზე ჩიჩერინს განუცხადებია რომ ზოგიერთმა ცხოვრების ფაქტებმა საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკა ძარს დისცეს, ლენინის აზრითაც საჭიროა რომ საბჭოთა რუსეთის პოლიტიკამ გეზი გამოიკვლოს და თავისი პრესტიჟი მაღლა დააყენოს. წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოთა რუსეთს ზნეობრივად სრული გაოტრება და განადგურება მოელოს.

#### საპროტესტო ნოტა.

ჩიჩერინმა და საკოვსკიმ რუმინეთის, ინგლისის, იტალიის და საფრანგეთის მთავრობებს საპროტესტო ნოტა გაუგზავნეს რუმინეთის ბესარაბიისთან შეერთების გამო.

#### პოლეთარული პარტია და ფრონტის დახმარება.

გაზეთი „პრავდა“ სწერს: პროლეტარულმა პარტიამ ყოველი ლონის ძიება უნდა მიიღოს რომ მთელი თავისი ძალს ლონით და სულიერის სიმდიდრით დაეხმაროს ფრონტს. „ყველაფერი ფრონტისთვის“ ცარიელ ლოზუნგად არ უნდა დარჩეს.

#### ხემიონოვის დაჭერა.

საბჭოთა გაზეთების გადმოცემით ამჟანყელებს ჩიტიდან გაქეული გენერალი სემიონოვი დაუჭერათ.

#### 8 გლეხთა ყრილობა.

20 ქრისტეშობისთვის მოსკოვში დანიშნულია მერვე გლეხთა მუშათა, წითელ არმიელთა და ყაზახის დეპუტატთა ყრილობა.

#### ბოლშევიკები და ქვეალისტები.

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან რომ ჩიჩერინმა რადიოთი აცნობა ქვეალისტებს რომ მათ სომხეთის ტერიტორიაზე თავდასხმა შეაჩერონ. ეს ბრძანება გამოწვეულია მით რომ ჩიჩერინის აზრით ქვეალისტების გამარჯვება სომხებზე მოასწავებს ადრებეიჯანის ტერიტორიაზე ქვეალის გადმოსვლას. ეს კი ბოლშევიკებისთვის ხელსაყრელი არ არის ვინაიდან შესაძლებელი იქნება რომ ქვეალისტებმა ადრებეიჯანის მამადანებზე ცუდი გავლენა იქონიოს, დაპა-დლოს ბოლშევიკებისადმი დიდი უკმაყოფილება და ამან გამოიწვიოს ბოლშევიკების დამარცხება ადრებეიჯანში.

#### ტროცკის ბრძანება.

ტროცკიმ შემდეგი ბრძანება გამოსცა: „საზიზღარი და დამნაშავე ელემენტები თავიანთ ნებით სტოუებენ წითელ არმიის ფრონტს,

თან მიჰქვთ სახელმწიფო ქონება, ჯარისკაცთა ტანსაცმელი და სხვა. ცენტრალურ კომიტეტს ევალება სასტიკად ადევნოს თვალყური ამ მოვლენას, შეებრძოლოს დებრტირობას და აღმოფხვრას ძირიანფესვიანად ის ბოროტ მოქმედება, რომელსაც სწადიან ზოგიერთი ჯარისკაცები“.

#### რეპრესიები მენშევიკების წინააღმდეგ

გაზეთი „ვოლია როსის“ გადმოცემით ბა-ლშევიკების რეპრესიებს მენშევიკების წინააღმდეგ ჩვეულებრივ მოვლენად გარდიქვა. არ არის ისეთი ადგალი, რომ ბალშევიკების აგენტებმა არ დაიჭრონ, არ დააპატიმრონ მენშევიკები. ხშირად ეს დაპატიმრება სიკვდილით დასჯით თავდება. რევოლიუციის ტრიბუნალმა ბევრი უდანაშაულო მსხვერპლი შეიწირა.

#### მუშა ხელის კრიზისი.

გაზეთ „პრავდა“ სწერს: მუშათა ხელის კრიზისი იმდენად მწვავეა დღეს რუსეთში, რომ ეკონომიური კატასტროფა აუცილებელია. მუშათა კვლიფიცია აღარ არის სრულიად. გამოუცდელი მუშები ვერას აკეთებენ, გამოცდილი მუშა კი აღარ არის. ზოგი ფრონტზე არის, ზოგმა ბალშევიკების რეჟიმს ვეღარ გაუძღეს და გაიქცნენ რუსეთიდან. ამ რიგად რუსეთი დღეს თითქმის ცარიელდება მუშა ხელის სიმცირით.

## ახალი აგებები

სახუნათო განყოფილებისაგან ქალაქის საბჭოს სასურსათო განყოფილებამ შემდეგ განკარგულება გამოსცა: საქონლით და სხვა პროდუქტით მოვაჭრეებს ევალებათ: 1) ერთი კვირის განმავლობაში მიამაგრონ თავიანთი საწონი საგანგებო კავიან სადგომზე, რომელზედაც აწონის დროს საწონი ჩამოკიდებული უნდა იყოს. 2) საწონი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მყიდველს შეეძლოს ადვილად თვალყურით როგორც წონასწორობას ისე საქონლის აწონვის დროს ისრის მოქრობასაც. 3) ასეთ მოწყობილობის გაკეთების შემდეგ მოვაჭრეებმა თავიანთი საწონი გირები და სადგომი უნდა წარუდგინონ პალატის შესამოწმებლად. და ასეთ განკარგულების დარღვევისათვის დამნაშავეებს კანონიერ პასუხის გებაში მისცემენ. ეს განკარგულება ძალაში შედის გაზეთებში გამოქვეყნების დღიდან.

კომბაგ. მუშათა მაგდამ მიიღო 4 ვაგონი ახალი კომბატო, რომელიც ამ დღეებში ტფილისის მუშებსა და მოსამსახურეებს შორის დაირიგდება. მუშათა მაგიდა კიდევ 20 ვაგონ კომბოსტოს მოელის.

ფინანსთა მინისტრ კ. კანდელაკის პატრეგაციამ გაზეთები გადმოგვცემენ, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ფინანსთა ვაჭრობა და მრეწველობის მინისტრის კანდელაკის რომში ჩამოსვლის აღსანიშნავად საზემო სადილი გაიმართაო სადალს დაესწრენ იტალიის ვაჭრობა-მრეწველობის გამაჩენილა წარმომადგენლები: სენატორი მარკონი, პელიანი, ბონდი, იტალიის საგარეო სამინისტროს წარმომადგენელი ტალიანი, იტალიაში მყოფი საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ჯაყელი, აბაზი, ზუბალოვი და სხვა. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და გამოსთქვა რწმენა, რომ მომავალში იტალიისა და საქართველოს შორის მრეწველობის განწყობაზე უფრო განმტკიცდება.

მიხალმება მთავრობას. მთავრობის თავმჯდომარის სახელზე სოხუმის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების კავშირისაგან მისასალმებელი დეპუტა მოვიდა.

პროტესტი ეხერებს. დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმმა ბახვიდან შემდეგი დე-

პეშა მიიღო: ბახვის თემის საბჭომ ნოემბრის 10 სხდომაზე შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა გამოცხადლოს ენერგიული პროტესტი ესერების ფრაქციის იმ უტაქტო საქციელი-სათვის, რომელიც ამ ფრაქციამ დამფ. კრების საგანგებო სხდომაზე ჩაიდინა. საყვარელ ჩვენ მთავრობას გამოუცხადოს ნდობა მის ბრძნულ მოქმედებისათვის და წინ დახედულობისათვის.

პოლონეთის წარმომადგენელი. საქართველოში მყოფი პოლონეთის საგანგებო მისია აცხადებს საყოველთაოდ რომ საქართველოს და სომხეთის მთავრობებთან დანიშნული პოლონეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ოსტროვსკი შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. მსურველთა მიღება შეიძლება დღის 12 საათ.—2 საათ. მასისი შენობაში პეტრე დიდის ქუჩაზე № 7 სახლში.

## ეროვნა

### გურიის ეროვნა.

ერობის გამგეობა პირობით შეეკრა შრომის სამინისტროს 1.000 საყენი შეშის მიწოდების შესახებ. ერობამ ეს შეშა უნდა მიაწოდოს სამინისტროს ნაწილ ნაწილათ, დაწყებული ნოემბრიდან ა. წ. მარტამდე მომავალი წლისა. სამინისტრო იხდის შეშის ფასით, რაც დაუჯდება ერობას ვაგონში ჩაწყობილი 10% დამატებით.

გურიის ერობამ გადაწყვიტა მიიღოს თავის თავზე სატყეო საქმის ხელმძღვანელობა მახრაში; ეს საქმე დევალა საადგილ-მამულო განყოფილებას, რომლის გამგეს მიენდოს სათანადო პროექტის წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა პირობებში უნდა მოეწყოს ტყის დაცვის საქმე. კვლავ უნდა აღინიშნოს, რომ სატყეო უწყების მიხედვით დიდ დაუდევრობას იჩენენ მოვალეობის შესრულებაში, რის გამოც ტყეები ბევრ ალაგას უმოწყალოდ იჩებება.

გამგეობამ განკარგულება მოახდინა თემების მიმართ, რომ მსწავლელებსა და ზოგიერთ სხვა ერობის სამსახურში მყოფ პირთ, რომლებიც მძიმე ეკონომიურ პირობებში იმყოფებიან, იავ ფასებში მიაწოდონ სიმინდი. — გადაწყდა მოეწყოს პედაგოგიური საბჭოები პირველ დაწყებით სკოლებთანაც. საბჭოს შემადგენლობა ასეთია: სკოლის გამგე თავმჯდომარეობ, მწერებთან მსწავლელები და თითო წარმომადგენელი მშობიელთა წრისა და თემის საბჭოდან.

ერობამ 2.000 მან. სტიპენდია დაუნიშნა ადგილობრივ გიმნაზიის მოსწავლე ქაღს თ. რამიშვილს.

გამგეობის დადგენილების თანახმად შესდგა ახალი სილაჟის თემი.

ერობამ უკვე დაამტკიცა ბასილეთისა და ნიგოთის საგარეო რაიონებში უმიწაწელო და მცირედი მიწის მქონე პირებზე საფონდო მიწების დანიშნულების პროექტი, რის შემდეგ ამ რაიონებში უკვე სწარმოებს მიწის მშობიელთა მუშაობა ამ მიწების ფაქტიურათ დასანიწილებლათ.

ერობამ გადაწყვიტა გამოიცილოს კერძო საკუთრებათ განსანიწილებ ღონიდან და თავის განკარგულებაში დაიტოვოს შავი ზღვის პარის ხაზი, ოზურგეთის მაზრის საზღვრებში განთ 1 1/2—2 ვერსტამდე და აგრეთვე 250 ჰქ. მიწა სუფსის რაიონში.

საერთო უმ.-დაწყ. სასწავლებელს და მსწავლებელთ ეძლევა სასწავლებლის სპეციალური თანხის ხარჯზე—გათობა-განათება შემდეგის ნორმით: სასწავლებელს ბუზარზე—1/2 საე. შეშა; მასწავლებელს—ცოლიანს—1 საე. და უცოლოს 1/2 საე. შეშა და ნავთი წელიწადში 2 ფუთი.

გათობა-განათება ეძლევა მხოლოდ იმ მსწავლებლებს, რომლებიც სამსახურის გამო სტოვრობენ ვარეშე თავის ოჯახისა და თემისა.

იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური თანხა არ დათარავს სამეურნეო ხარჯებს, ამ საქმეობისათვის საჭიროა შედმეტი ხარჯი ეკისრება სათანადო თემს.

ერობამ სახალხო სკოლებს გამოუწერა თითო ცალი შემდეგი გამოცემებისა: „ძერწვა“, „პედაგოგიკა და პსიქოლოგია“—როსტობაშვილისა და „შრომის სკოლა“.

ერობის გამგეობამ დაავალა თავის საეჭირო პერსონალს წელიწადში ორხელ მოახდინონ თავის რაიონში არსებულ სკოლების სანიტარული დათვალიერება, რომლის დროს უნდა შეამოწმონ მოსწავლეები და საზოგადოთ მიჰქციონ ყურადღება სკოლის სანიტარულ მდგომარეობას და მისცეს შესაფერი დარიგება, რაზედაც უნდა შესდგეს ოქმი და

წარმოგზავნოს ერობას. დათვლიერება უნდა მოხდეს ნოემბერსა და აპრილში.

ერობის ერთი სტაბილი უკვე მუშაობს, მეორე უფრო დიდი, ამ დღეებში დაიწყებს მოქმედებას.

ერობის გაზეთს „გურის“ ერობის მოამბის“ გამოცემაც განახლდება ამ სტაბილის მოქმედების დაწყებისთანავე.

ერობამ ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში ერთი კვირით დაიწყო ყველა სკოლები იმ მიზნით, რომ მოსწავლეებმა მშობლებს დახმარებოდნენ ქარაბხულის შენახვაში.

ხუთე.

### ქალაქთა კავშირში

ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის მოკრიგ სხდომაზე გაიჩნა ქალაქის მცხოვრებთა მოსალოდნელ აღწერის საკითხი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სტატისტიკური კომიტეტი ფიქრობს მოაწყოს საერთოდ ქალაქთა მცხოვრებლების აღწერა. პირველად მცხოვრებთა აღწერა დაიწყება ტფილისიდან, შემდეგ ბათუმში, ფოთში, და სხვა. ელიავამ აღნიშნა, რომ მთავარ კომიტეტის პრეზიდიუმს საჭიროდ ნიაჩხია მოაწყოს მცხოვრებლების აღწერა ქალაქებში. ეს მით უმეტეს საჭიროა მომავალ ქალაქთა საბჭოების და პარლამენტის არჩევნებისათვის.

მომხსენებლის განხილვის შემდეგ დაადგინეს: მიენდოს დ. კალანდარიშვილის თავის თავმჯდომარეობით შეადგინოს კომისია, რომელმაც უნდა გადასინჯოს სტატისტიკური კომიტეტის მიერ შემუშავებული ბარათები. აგრეთვე განყოფილებებს წინადადება მიეცა მიიღონ მონაწილეობა ამ კომისიის მუშაობაში.

### რკინის გზაზე

გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის საბჭოში შეტანილია მოხსენება საქართველოს რკინის გზების სადგურებზე ბუფერების, სავაჭრო პლატფორმების და სადალაქოების იჯარით გაცემის საკითხის შესახებ. იჯარით გაცემა განზრახულია კონკურენტით. წინასწარი თანხა რომელიც უნდა შეიტანონ „კონკურენტული“ მონაწილეობის მსურველებმა. ჯერ არ არის გამოარკვეული, დაახლოებით განზრახულია 10 30 ათასი მანეთის დასესება.

გზათა განყოფილებამ გზათა მიმოსვლის დეპარტამენტში აღძრა საკითხი ერთი ტიპის აბრების გაკეთების შესახებ, რომლებზედაც ქართულ ენაზე სადგურების სახელები იქნება ჩამოწერილი. ახალი აბრის გაკეთება შეუძლიათ რკინის გზის მთავარ სახელოსნოებსაც.

### ხელოვნება

„მსხვერპლი“

13 ნოემბერს ქართულ დრამამ დასდგა ი. გედევანიშვილის პიესა „მსხვერპლი“. პიესა დაედა ალ. წუწუნავას, ვლ. სილაძემ-ერის თავის ახალი დეკორაციებით.

ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“ ბევრ შესწორებას თხოვლობდა და რეჟისორ ალ. წუწუნავასაც ამ მხარესთვის დიდი ყურადღება მიუქცევია. გამოშვებულია მეორე მოქმედება მთლად, რაიც ჩვენი აზრით ეს ფრიად მოსაწონია, რადგანაც ეს მოქმედება მეტად გაქიანურებულია პიესაში და ვერც არას მატებს მის მთლიანობას. სცენიური ხელოვნება იდგმალბებით და ესტეტიურ განცდით უნდა იყოს სავსე. ამიტომ რაც არა ესტეტიურია და გამაღიზიანებელი, დაბალი ხარისხის—ყველა ეს უნდა ვანიდვინოს სცენიდან. სჩანს ეს წუწუნავას კარგად შეუგნია.

შესრულების მხრივ მსახიობებმა პიესა კარგად შესრულეს.

კარგად თამაშობდა ქ. ნ. დავითაშვილი ნატოს როლს. მან შესაფერისი ტემპერამენტით გადმოგვცა მოსიყვარულე გულის სულსკვეთება. განსაკუთრებით მოგვეწონა უკანასკნელ სცენაში.

ალლოიანი ტონით ჩაატარა ბ. ნ. კორიშელმა გაბოს როლი. როგორც ყოველთვის, დღესაც შესანიშნავი იყო მ. გელოვანი პატარა როლში (მწერალი).

მაღალი ნიჭიერი არტისტი ვასო აბაშიძე თამაშობდა საქოს როლს. და ვანა და სათქმელია, როგორ თამაშობდა მსახიობი? ეს მართლაც ვასაკვირველია! დაბერდა ვასო აბაშიძე, მაგრამ მას სცენაზე ჯერ ვერავითარი სიბერე ვერას აკლებს. კვლავინდებური გატაცებით, კლასიკური მთლიანობით, საღი კო-

მიზნით ათვისებული მთელი როლი, არამც თუ როლსი, მთელი ტიპის, მხატვრულ ფარგლებში ჩამოყალიბება, აი ერთი უდიდესი ღირსება ჩვენი დამსახურებული მსახიობისა.

ნაკლებად დაგვიკმაყოფილა ბ. ნ. ყალბაგვიშვილია გიგოს როლის შესრულებით. მსახიობი ვერ ჩასწვდა სავსებით გიგოს პსიხოლოგიას. მისი გიგო მეტად რბილად გამოვიდა. მასში არ სჩანდა რკინის კაცი და ის ბოროტ-მოქმედი, რომელმაც უბანკოადამიანი მსხვერპლად შეიწირა.

დახარჩენი მსახიობნიც კარგად უწყობდნენ ხელს საერთო მსახიობთა ანსამბლს. ხალხიც ბევრი დაესწრო. თეატრი კიდევ გაუთობებელი არის და ეს ძალიან აწუხებს როგორც მაყურებელს, ისე მსახიობთ. ჩვენ წინადაც აღვნიშნეთ ეს. ამას თეატრის ადმინისტრაციამ უნდა მიაქციოს ყურადღება.

ბ. აბაშა № 82.

### წერილი რედაქტორს

ბ. ნო რედაქტორს!

ამ ბოლო დროს ტფილისის საზოგადოებაში გავრცელებულია ხმები, თითქოს მე სამსახურიდან დათხოვილი ვიყავ უმადლესი მოთხოვნის განკარგულებით.

ვინაიდან ეს ხმები კატეგორიულად და მას ავრცელებს საზოგადოებაში ლაგოდების ყოფილი მომრიგებელი მოსამართლე ბ. ნი პავლე ულიას ძე ქოსულიშვილი, რომელიც სამსახურის დროს ჩადენილ დაუდევრობისა და ბოროტ-მოქმედების ჩადენისათვის ჩემს მიერ მიცემულია პასუხის გეგმაში და მის შესახებ სწარმოებს გამოძიება, ამიტომ ქეშმარიტების აღსადგენათ და საზოგადოების საყურადღებოდ ვაცხადებ, რომ მე სამსახურს თავი გავანებე ჩემს პირადი სურვილით, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს დაქვინებით თხოვნას სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ არ იწყებებოდა არც სენატი და არც იუსტიციის მინისტრი; რომლის ოფიციალურ პასუხში ასე სწერია: „თქვენნი განთავისუფლება სამსახურიდან შეუძლებლათ თამაზიან, ვინაიდან ესა წინაშეს ურდობის ჩაშლას“. ამის შემდეგ თვით საზოგადოებამ განსაჯოს ზემოაღნიშნულ ცრუ ხმების საფუძვლიანობა.

სიღნაღის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე შ. ტაფიშვილი.

ნამდვილად აწერია: ნამდვილად, 19 ოქტ. 1920 წ. ვინანისთა და ვაქრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი ბ. ავდიანი.

### წესდება

დასავლეთ საქართველოს საგეგმო ხანძრულ ბანკისა.

#### IV. აქციონერთა საზოგადო კრება.

§ 56. ყველას, ვისაც კი შეძენილი აქვს ბანკის აქცია, ნება აქვს დაესწროს საზოგადო კრებას, მაგრამ უფლება ხმისა აქვს მხოლოდ იმ აქციონერს, რომელსაც ეკუთვნის არა ნაკლებ ოცი აქციისა. თითოეული ოცი აქცია იძლევა ერთი ხმის უფლებას. ორას აქციამდე თითოეული ოცი აქციის აქვს ერთი ხმა, შემდეგ ორასისა კი თითოეული ორმოცდა ათი აქცია იძლევა ერთ ხმას, მაგრამ საზოგადო კრებაზე არც ერთ აქციონერს არ შეუძლიან იმდენი ხმა იქონიოს, რომ რაოდენობით  $\frac{1}{10}$  სკარბობდეს სხვა დამსწრე ხმებისა.

§ 57. მთავრობისა, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებანი, საზოგადოება და ამხანაგობა საერთო კრებაზე სარგებლობენ ხმის უფლებით თავიანთ კანონიერ წარმომადგენლების სახით.

ბანკის მოხელეები ნება არ აქვთ საზოგადო კრებაზე მონაწილეობა მიიღონ ვეკილობითა.

§ 58. სახელობითი აქციების პატრონთ ხმის უფლება აქვთ საზოგადო კრებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის დათვრებაში ჩაწერილნი არიან შვიდი დღით აღრე მანც საზოგადო კრების დღემდე და კრებაზე მონაწილეობის მისაღებად მათთვის საჭირო არ არის წარდგენა თავიანთი სახელობითი აქციებისა.

უსახელო აქციები იმ შემთხვევაში აძლევენ ხმის პატრონს, თუ იგი აქციები წარდგენილია ბანკის გამგეობაში შვიდი დღით აღრე მაინც საზოგადო კრების დღემდე და არც უკან წაუღიათ პატრონებს კრების გათავება-

მდე. ნამდვილ აქციების მავიერ შესაძლოა წარდგენილ იქნას მოწმობანი (ხელწერილი) იმისი, რომ აქციები მიუღია შესანახად ან გიგაოდ სახელმწიფო ან კერძო საკრედიტო დაწესებულებას.

§ 59. ოცზე ნაკლებ აქციების პატრონებს შეუძლიანთ, საერთო ვეკილობით შეაერთონ თავ ანთი აქციები ერთი ან მეტი ხმის უფლების მისაღებად იმ საზღვრამდე, რომელიც მოხსენებულია § 56 ში.

§ 60. თუ აქციონერი რაიმე მიზეზით ვერ ესწრება საზოგადო კრებას, შეუძლია მას თავისი უფლება სხვას გადახცეს, ისევე ხმის უფლებიან აქციონერს, მაგრამ ერთსა და ძმავე კაცს არ შეუძლიან საზოგადოდ ორ ვეკილობაზე მეტი ქონდეს.

შენიშვნა: ვეკილობა ხმის მისაცემად უნდა დაიწერიოს წერილის სახით, რომელიც უნდა წარდგინდოს გამგეობას არა უგვიანეს სამი დღისა საზოგადო კრების დღემდე.

§ 61. გამგეობის მიერ დამზადებული სია იმ აქციონერებისა, რომელთაც ხმა აქვთ საზოგადო კრებაზე უნდა ოთხი დღით აღრე გამოიკიდოს ბანკში, ვიდრე კრება დაიწყებოდეს. სიაში აღნიშნული უნდა იყოს ნომერი წარმოდგენილი აქციებისა, პირო სიისა მიეცემა ყველა აქციონერს მოთხოვნისთანავე.

§ 62. საზოგადო კრების გახსნამდე საოვეზიო კომისია ამოწმებს გამგეობის მიერ შედგენილ აქციონერთა სიას (§ 61), ამასთანავე თუ ვინცოდაა კრებაზე მოსულმა აქციონერებმა თანხით ათა ნაკლებ  $\frac{1}{20}$  ძირითადი თანხისა, მოითხოვეს სიის შემოწმება, ეს შემოწმება უნდა იქონიონ აქციონერთა მიერ თავიანთ შორის ამისთვის არჩეულთ, რომელთა რიცხვი სამ კაცზე ნაკლები არ უნდა იყოს, მათ შორის ერთი მაინც უნდა იყოს ამორჩეული აქციონერთა იმ ჯგუფიდან, რომელმაც სიის შემოწმება მოითხოვა.

§ 63. საზოგადო კრება ჩვეულებრივი და ათა ჩვეულებრივია. ჩვეულებრივი ინიშნება ყოველ წლივ ათა უგვიანეს აპრილისა, ხოლო ათა ჩვეულებრივი ინიშნება გამგეობის მიერ, როცა საჭიროება იქნება დანახული ანუ საბჭოს მოთხოვნისთანავე საგანგებო საქმეთა გასარჩევად, რომელიც არ ითმებენ დაყოფიებას.

შენიშვნა: აქციონერთა ჯგუფს, რომელთა შედგენილი თანხა ათა ნაკლებია  $\frac{1}{10}$  ძირითადი თანხისა, უფლება აქვს მოთხოვოს გამგეობის, მოუხოდოს საზოგადო კრებას, საჭიროა მხოლოდ აღინიშნოს, რა და რა საგანი უნდა დაექვემდებაროს კრების მსჯელობას. ეგ მოთხოვნა საზოგადო კრების მოწოდებისა უნდა ასრულებულ იქნას ერთი თვის განმავლობაში დღიდან ასეთი მოთხოვნის განცხადებისა.

შენიშვნა: აქციონერთა ჯგუფს, რომელთა შედგენილი თანხა ათა ნაკლებია  $\frac{1}{10}$  ძირითადი თანხისა, უფლება აქვს მოთხოვოს გამგეობის, მოუხოდოს საზოგადო კრებას, საჭიროა მხოლოდ აღინიშნოს, რა და რა საგანი უნდა დაექვემდებაროს კრების მსჯელობას. ეგ მოთხოვნა საზოგადო კრების მოწოდებისა უნდა ასრულებულ იქნას ერთი თვის განმავლობაში დღიდან ასეთი მოთხოვნის განცხადებისა.

### გ ა ნ ს ხ ა დ ე ბ ა ნ ს

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ს. ახალ ქალაქის თემიდან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული გორის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან ვასალ სტეფანეს ძე უნიკოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3640 3-3

დაიკარგა საბინაო დავთარი სარაჯიშვილის ქ. № 2 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის კვეზერიელი და კოპაძის, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3649 3-3

დაიკარგა პასპორტი რაშიდ ალი მამედ ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3690 3-1

დაიკარგა ორი ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1882 წ. რეესტრით № 1906 და 1902 წ. რეესტრით № 1144 და ოთხი სიმტკიცის მოწმობა აღნიშნულნი: 1895 № 2341; 1913 წ. № 1358; 1902 წ. № 337 და 1915 წ. № 2521 ეკატერინე მიხეილის ასული ნადიროვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3673 3-1

## ტფ. ქალაქის ელექტრონის საღებური ამით აცხადებს

რომ მიღება ახალ ამონენტებისა შეჩერებულია და არავითარი თხოვნები ახლად შეერთების შესახებ არ იქნები განხილული. 3692

დაიკარგა პასპორტი დეზიამუშევის ასული ბაბაიანციის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3648 3-3

დაიკარგა უფადო პასპორტი, მიღებული შორაპნის მაზრის უფროსისგან. კახეთის რკ. გზის კომპერტივის წევრობის ბარათი და პირადობის მოწმობა, მიღებული რკ. გზის სამმართველოდან. ერმალოზ გაბრიელის ძე ქუშბაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. (უ) 3-3

დაიკარგა საბინაო დავთარი ალანის ქ. № 16 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ბაირამოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3639 3-3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი სარქის ოსკანას ძე ოგანეზოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3643 3-3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 37 სურენ მნაცკანოვის სახელზე, მიღებული ტფ. პირველ კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3628 3-3

დაიკარგა უფადო პასპორტი, მიღებული ტფილისის პოლიცემისტისგან 1907 წ. იოსებ მოსეს ძე სანადირაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3683 3-1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული გვარდიის საარტილერიო ბრიგადიდან და სამხედრო ნაწესხურების ნუსხა, მიღებული საგებერნიო ათასეულიდან დავით გერასიმეს ძე გოგელიას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3675 3-1

დაიკარგა საბინაო დავთარი საბურთალოში მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის მათე ბალახაძეს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3676 3-1

დაიკარგა პასპორტი № 160 ერმილე ანტონის ფილიას სახელზე, მიღებული ზუგდიდის კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3672 3-1

დაიკარგა პასპორტი მიხელ მოსეს ძე ოჩაიშვილის სახელზე, მიღებული ახალციხის ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3677 3-1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ნაიკვის საზოგადოებრივი (სენაკის მაზრა) და სამხედრო ნუსხა, მიღებული სენაკის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან პარმენ ხოსიას ძე შიქიაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3678 3-1

დაიკარგა პასპორტი № 3273, შალომ დავითის ძე მუნღიაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცემისტის სამმართველოდან 1908 წ. და სარეგისტრაციო ბარათი გაუქმებულად ჩაითვალოს. 3684 3-1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ანა ლუკიანის ასული ტატოსოვის (იგივე ტადოსოვიანის) სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ რეესტრით № 1047—1908 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3686 3-1

დაიკარგა მოწმობა ოჯახური მდგომარეობის შესახებ № 171 მიტროფანე სპირიდონის ძე დედვარიანის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციონერთა კავშირიდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3687 3-1

ქალაქ ტფილისის მეორე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს ღენერალ ლეიტენანტის ქვერივ ვარადაცვალბული მარიამ ნიკოლოზის ასული ბუქიაშვილის დატოვებულ ქონების მემკვიდრეებს. 3685 3-1

სააქციო სამმართველო ამით აცხადებს, რომ ამხანაგობა „არგო“-მ დაკარგა გადასატანი მოწმობა № 9582. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3682 3-1